ოქმი:**ო37. 3725091001**

თარიღი:**01/04/2025**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2025 წელი, 26 მარტი

ქ. ოზურგეთი

11.00 -16 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, პ. სალუქვაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დიდთოვლობით გამოწვეული ზარალისა და მისი სალიკვიდაციო სამუშაოების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ თალაკვაძის ინფორმაციის შესახებ.
მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ კითხვა დაუსვა თანამომხსენებელს-ზარალის სავარაუდო რაოდენობის წინასწარი

მონაცემები ხომ არ არის დადგენილი? და მეორეც, სტიქიამ სერიოზული ზარალი მიაყენა ფერმერებს, მერიას ხომ არ ააქვს განზრახული მათთვის დახმარების გაწევა ან ამ საკითხზე მთავრობისათვის მიმართვა? გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ მერიაში ზარალის თაობაზე შემოსულია 2800 განცხადება, 1000-მდე ოჯახი შემოწმებულია, ესაა საცხოვრებელი სახლები, რომელთა სახურავები მთლიანად ან ნაწილობით ჩანგრეულია, ზარალის სავარაუდო ოდენობა არაა დათვლილი, რაც შეეხება ფერმერებს-ძირითადად დანგრეულია სათბურები და განადგურებულია ციტრუსოვანთა და მოცვის პლანტაციები, მიმდინარეობს ინფორმაციების შეგროვება როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ, ალბათ შემდგომში მოხდება მათი დასახმარებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ანგარიშის წარმოდგენის დასრულების შემდეგ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ მინისტრს, ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ მუშაკებსა და თანამშრომლებს, ყველა მოქალაქესა და მოხალისეებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტიქიის წინაღმდეგ ბრძოლაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. ჭანიშვილმა და ტ. არუშიძემ აღნიშნეს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის დ. დარჩიას ანგარიში იყო შინაარსიანი და ყოვლისმომცველი, შეეხებოდა საკრებულოს, როგორც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის კოლეგიური ორგანოს მუშაობის ყველა ასპექტებს, წარმატება უსურვეს მას მომავალ საქმიანობაში. კოლეგების მოსაზრებას დაეთანხმა და მომავალშიც წარმატებული საქმიანობა უსურვეს საკრებულოს თავმჯდომარეს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა და საკრებულოს წევრებმა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ ნიშანდობლივია საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა საქმიანობის გამჭვირვალობის, მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, მართვის თანამედროვე ფორმების დანერგვის, კოლეგიალობის თვალსაზრისით, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს საკრებულოს თავმჯდომარის პიროვნულ თვისებებს, წამოაყენა წინადადება საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა შეეფასებინათ დამაკმაყოფილებლად, ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ერთხმად.

12.3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 - ხმით

საკრებულოს წევრის გ. სირაძის მოსაზრებით ხელოვნურსაფარიანი მრავალფუნქციური სპორტული მოედანი კურორტ გომის მთაზე არ იქნება გამართლებული. მომხსენებელმა უპასუხა, რომ პროექტში გათვალისწინებულია გომის მთის ბუნებრივი და მეტეოროლოგიური პირობები.

13.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31- ხმით

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ საკრებულოს თანამდებობის პირებისა და წევრების მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელია ამ სამსახურთან მათი საზედამხედველო ფუნქციის გაუმჯობესების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ სამსახურის უფროსი კ. ხაბალაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში გაიზარდა როგორც პროფესიონალი და ერთ-ერთი წარმატებული სამსახურის უფროსია მუნიციპალიტეტის მერიაში, წამოაყენა წინადადება საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა აბაშმაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ სამსახურმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს პროექტების საკრებულოში ფორსმაჟორულ სიტუაციაში წარმოდგენის შემთხვევები, გამოთქვა მოსაზრება მუშაობა შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ. კილაძემ დაუსვა შეკითხვა თანამომხსენებელს- მუნიციპალური ქონების მოიჯარეებიდან ხომ არ შემოსულა განცხადება სტიქიის მიერ ქონების დაზიანების თაობაზე? უპასუხეს, რომ არაა შემოსული.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარების სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში, რადგან ეკონომიკური განვითარება პრიორიტეტულია, მისასალმებელია ეკონომიკური განვითარებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა იყოს არა 350 ათასი, არამედ მილიონ ნახევარი ლარი, სამსახურის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ არ შესრულებულა დაპირება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწყობის თაობაზე. განაცხადა, რომ სამსახურის უფროსის საქმიანობა შეეფასებინათ დამაკმაყოფილებლად.

13.40-საათზე გამოცხადდა 20 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 14.00-საათზე, შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა შეეკითხა თანამომხსენებელს-ეცნობა თუ არა საკრებულოს სხდომის ოქმებს? და თუ ჰქონდა თანამშრომლების წახალისების ან მათთვის შენიშვნების მიცემის შემთხვევები? უპასუხეს, რომ ოქმებს ეცნობინ, შენიშვნებს ითვალისწინებენ, თანამშრომლების წახალისების შემთხვევები იყო, შენიშვნები არავისთვის მიუციათ.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის (საქმისწარმოების და არქივის განყოფილება) მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა ხომერიკი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა შეეკითხა მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს გ. ღურჯუმელიძეს-კმაყოფილია თუ არა განყოფილების მუშაობით? უპასუხეს, რომ განყოფილება სერიოზულ საქმიანობას ეწევა როგორც მოქალაქეების მომსახურების,ასევე უწყებრივი არქივის მოწესრიგებისათვის.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და

ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა შეეკითხა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნ. ბოლქვაძეს-აქვს თუ არა კოლეგიური ურთიერთობა საკრებულოს ზემოთა ღნიშნულ მუდმივმოქმედ კომისიასთან? უპასუხეს, რომ როგორც მას, ასევე მერიის შესაბამის სამსახურებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ კომისიასთან.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ კომისიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა, დ. ჭაკნელიძე გაიზარდა როგორც პროფესიონალი, საიმედო საჯარო მოხელეა.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ საკრებულოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუდმივმოქმედი კომისიაა, მოიცავს საქმიანობის ბევრ სფეროს, ქ. ხომერიკი სერიოზულად გაიზარდა როგორც პროფესიონალი საჯარო მოხელე,

შეაფასა რა საბოლოოდ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობა, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ მათი კარგი მუშაობა მნიშვნელოვანწილად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბიგვავას დამსახურებაა და მადლობა გადაუხადა მას გაწეული მუშაობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსები დასწრებოდნენ და მოესმინათ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ანგარიშები.

14. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი